

დამოწმებანი:

ალექსიევიჩი 2015-17: ალექსიევიჩი ს. *ხუთი რომანი* („ჩერნობილის ლოცვა“, „სექენდ ჰენდის დრო“, „ომს არა აქვს ქალის სახე“, „ცინვის ბიჭები“, „უკანასკნელი მოწმეები“). თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2015-17.

არილი 2013: თანამედროვე ქართული პროზა. ჟურნ. არილი, 2013, 23 ნომბერი.

ზუკსი 1987: Букс Н. *Журналистика или литература?* https://www.persee.fr/doc_1987.

გენისი 2009: Генис А. *Фотография души. В окрестностях английского романа.* Журн. Звезда, 2009, №9.

დიდიშვილი 2019: დიდიშვილი ა. *პენელოპე. ხათუნა. დედაჩემი.* ARTANUJI.GE

ივანოვა 2005: Иванова Т. *По ту сторону вымысла.* Журн. Знамя, 2005, №11.

ლებანიძე 2014: ლებანიძე შ. *საშვი კონფლიქტის ზონაში.* თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2014.

ლებანიძე 2015: ლებანიძე შ. *მანანა ანუა. ტყვეობის ორმოცდათორმეტი დღე.* გამომცემლობა არტანუჯი, თბ. 2015.

ლებანიძე 2018: ლებანიძე შ. *პენელოპე მგზავრი.* თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2018.

სადღობელაშვილი 2015: სადღობელაშვილი ნ. *რა შეუძლია ლიტერატურას?* mastavlebeli.ge

ჩხაიძე 2018: Чхайдзе Е. *Политика и литературная традиция. Русско-грузинские связи после перестройки.* Москва: изд. НЛО, 2018.

ხარბედა 2015: ხარბედა მ. *ტექსტი და სიმართლე.* თბილისი: გამომცემლობა „აზრი“, 2015.

Nestan Kutivadze

Georgia Kutaisi

Akaki Tsereteli State University

The Socium of the End of the 20th Century in the Artistic Narrative

The 80-90s of the 20th century became the epoch of the most important world cataclysms. Early in the Soviet Union, the “Perestroika”, that was declared in 1984, was followed by the beginning of the process of reevaluation of the existing, rethinking of true values, the struggle for national independence and the collapse of “the great Soviet nation”. In the artistic

narrative of the authors of various generations and different styles of writing a severe spiritual picture of the 90s of the 20th century was interpreted, which included the painful process of breaking illusions aftermath of the patriotic delight, human experiences, the weaknesses, the mistakes, the violent actions of ordinary people struggling for day-to-day survival due to ethnic conflicts, war, and the toughest socio-economic situation.

Key words: Spiritual picture, Ethnic conflicts, Socio-economic situation, Postmodernism.

ნესტან კუტივაძე

საქართველო, ქუთაისი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

XX საუკუნის დასასრულის სოციალური მხატვრული ნარატივი

XX საუკუნის 80-90-იანი წლები უმნიშვნელოვანესი მსოფლიო კატაკლიზმების ეპოქა აღმოჩნდა. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში 1984 წელს გამოცხადებულ „პერესტროიკას“ მანამდე არსებულის გადაფასების პროცესის დასაწყისი და ჭეშმარიტ ფასეულობათა გადააზრება, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა და „დიდი საბჭოთა ქვეყნის“ ნგრევა მოჰყვა. დაშლილი იმპერია სასტიკად გაუსწორდა თავისუფლებისათვის მებრძოლ ერებს, განსაკუთრებით საქართველოს, რომელმაც დიდი მსხვერპლი გაიღო საუკუნეების განმავლობაში გამოტარებული სახელმწიფოებრიობის იდეის ხორცშესასხმელად, ამჯერად საბოლოოდ აღსადგენად და შესანარჩუნებლად. ოპტიმიზმსა და თავისუფლებისათვის ბრძოლის აღმადგენას მალევე, განსაკუთრებით კი 1990-იანი წლებიდან, კრიზისი, სტრესი და პოსტსაბჭოთა ტრამვეული გარემო მოჰყვა, რაც მეტ-ნაკლებად დამახასიათებელი აღმოჩნდა იმ ქვეყნებისათვის, რომლებსაც, პირდაპირ თუ ირიბად, შეეხო საბჭოთა ეპოქის დასრულება.

ისტორიული ქართველების შეფასება მრავალგვარი რაკურსითა და ფსიქოლოგიური სიღრმით სწორედ ლიტერატურულ ტექსტებში ხდება და ხშირად უფრო სრულყოფილად აჩვენებს ეპოქის

არსს, ვიდრე დოკუმენტებში გადმოცემული ფაქტები. მხატვრული ლიტერატურაც სხვა არაფერია თუ არა ისტორიული მეხსიერების შენარჩუნების ფორმა, რაც კიდევ ერთხელ დაადასტურა XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე მიმდინარე ლიტერატურულმა პროცესმა, რომელიც ასახავდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებებს, სოციუმის სულიერ კრიზისს, იმ ტრაგიზმს, XX საუკუნის მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ტოტალიტარული სახელმწიფოს არამხოლოდ რღვევის პროცესს, არამედ მასში არსებობასაც რომ ახლდა თან. შესაბამისად, ამ პერიოდის ლიტერატურამ აირეკლა ისტორიული ვითარება და მისი ზემოქმედების დრამატული ხასიათი საზოგადოებასა თუ პიროვნებაზე, აჩვენა რეალობით შექმნილი სტრესული გარემოს გავლენა როგორც სოციუმზე, ისე ინდივიდზე. „ნიშანდობლივია, რომ XX საუკუნის დასასრულის ქართულმა ლიტერატურამ ამ საუკუნის მანძილზე, ფაქტობრივად, პირველად მიიღო სოციალური ტრამვის იმავდროულად დაფიქსირებისა და ადეკვატური გამოსახვის საშუალება. მართალია, მეოცე ასწლეულში საქართველო არაერთი ტრაგიკული ისტორიული მოვლენის მომსწრე გახდა და საზოგადოებრივი ცხოვრებაც მუდმივი წნეხის ქვეშ იყო მოქცეული, მაგრამ იდეოლოგიურ-ცენზურული კონტროლის გამო ამ პროცესების პირდაპირი ასახვა ან აშკარა გამოვლენა თითქმის არ ხდებოდა“ (წიფურია 2016: 90). ამდენად, იდეოლოგიური ზეწოლისაგან თავისუფალ გარემოში მწერლობა ისტორიულ რეალიებს სინქრონულად, პირდაპირ ასახავს და საჭირო აღარაა დროის სიმბოლიზება-ალეგორიზება, ან ქვეტექსტურ შრეებში გადატანა. შესაბამისად, 1990-იანი წლების საზოგადოებრივი ცნობიერების წარმართველი ტენდენციები ლიტერატურული პროცესის მნიშვნელოვანი მარკერები ხდება და მოიცავს: 1. საბჭოთა პერიოდის ტრაგიკული მოვლენების რეფლექსიას, 2. საბჭოთა იდეოლოგიის მარცხის შედეგად გამოწვეული პიროვნული დრამის, ახალი რეალობის რეცეფციის თავისებურებებს, 3. დამოუკიდებლობის პირველ ათწლეულში არსებული ნგრევისა და დაპირისპირების შედეგად წარმოქმნილ კრიზისს, სულიერ ტრამვასა და ფრუსტრაციას, რომელსაც სხვა მოვლენებთან ერთად განაპირობებდა დამოუკიდებლობის ვითარებაში იოლად მიღწევადი კეთილდღეობის, სოციალური თანხმობის ილუ-

ზია. ეს უკანასკნელი სხვა მიზეზებთან ერთად იმითაც იყო განპირობებული, რომ ქართულმა ლიტერატურამ ეროვნული დამოუკიდებლობისა და მისთვის ბრძოლის იდეა საუკუნეების განმავლობაში წარმატებით ატარა, მაგრამ პოსტსაბჭოთა პერიოდმა კარგად აჩვენა იდეისა და რეალობის დაცილება.

1990-იანი წლები უმნიშვნელოვანესი იყო იმითაც, რომ დაიწყო საბჭოთა მითებისა და სტერეოტიპების მსხვრევა, გამოიკვეთა მათგან გათავისუფლების აუცილებლობა. პოსტკოლონიურ ქვეყანაში, რომელშიც ჯერ კიდევ სიცოცხლისუნარიანი იყო კოლონიური კონცეპტები, ტოტალიტარული იმპერიის ფასეულობათა სისტემის კოლაფსს უპირობოდ უნდა მოჰყოლოდა საბჭოთა იდენტობის დასრულება და ახლის ჩამოყალიბება, რასაც არაერთი ურთიერთგანმპირობებელი და განმსაზღვრელი ფაქტორი ახლავს თან. ღირებულებათა ახალი სისტემის დამკვიდრებისას საკუთარი ადგილისა და როლის ხელახალი მონიშვნა ძალზე მტკივნეული პროცესია და ის იმედგაცრუების, ხშირად ერთი ილუზიის მეორეთი ჩანაცვლების ფონზეც წარიმართება. საუკუნეთა მიჯნაზე, მენტალურ გასაყარზე მყოფი ქართული სოციუმის მხატვრული მოდელი იქმნება სოციალური თუ ეროვნული ფუნქციის ძიების მტკივნეული ტეხილებით, რომელიც თაობათა შორის კავშირის დარღვევაზე, გაუცხოებაზე, უმიზნობასა და არაბრძოლისუნარიანობაზე გადის (იხ. ნემსაძე 2007).

სავსებით ბუნებრივია, რომ სხვადასხვა თაობისა და ხელწერის მქონე ავტორთა მხატვრულ ნარატივში ინტერპრეტირდა XX საუკუნის 90-იანი წლების სოციუმის ურთულესი სულიერი სურათი, რომელიც მოიცავდა პატრიოტული აღმაფრენის შემდგომ ილუზიების მსხვრევის მტკივნეულ პროცესს, ეთნიკური კონფლიქტებისა და ომის, უმძიმესი სოციალ-ეკონომიკური ვითარების გამო ყოველდღიურად გადარჩენისათვის ბრძოლაში ჩაბმული ჩვეულებრივი ადამიანის განცდებს, სისუსტეებს, შეცდომებს, დრამატულ ქმედებებს. ამ პერიოდის მწერალთა თხზულებებში მრავალი პლასტიკით რეპრეზენტირდა და სამუდამოდ შეინახა საქართველოს ისტორიის უაღრესად მნიშვნელოვანი ეტაპი და ამ ეტაპის განმსაზღვრელი არაერთი მხატვრული კონცეპტი. კანონზომიერია ისიც, რომ მხატვრული ასახვის შესაძლებლობებით ამავე პერიოდის ლიტერატურაში განსაკუთრებით ნაყოფი-

ერი აღმოჩნდა სწორედ პოსტმოდერნისტული დისკურსი, რადგან „პოსტმოდერნიზმი მსოფლიო მასშტაბით ახალ ნაციონალურ და კულტურულ იდენტობათა ძიებისა და აღმოჩენის წყაროდ იქცევა. ამ გამოწვევას იღებს პოსტსაბჭოთა ფაზაში გადანაცვლებული ქართული მწერლობაც და, მართალია, გარკვეული დაგვიანებით, მაგრამ ძალზე საინტერესოდ უერთდება მსოფლიო ლიტერატურულ პროცესს: პოსტმოდერნიზმი არამარტო კრიზისის ფაზაში შესული კულტურული ცნობიერების რეკონსტრუირების, არამედ საბჭოთა ლიტერატურული კანონის დაძლევის საუკეთესო საშუალებად მოგვევლინება“ (რატიანი 2018: 204), რაც, ასევე, ნიშნავდა სხვა ესთეტიკურ სიბრტყეზე გადასვლასა და ახალი კულტურული სივრცის ნაწილად გარდაქმნას. პოსტკოლონიურ ეპოქაში ახალი სოციოკულტურული გარემოს ჩამოყალიბება რთული პროცესი აღმოჩნდა იმ მხრივაც, რომ თვითდეკონსტრუქცია უნდა მოეხდინა ყალბი ღირებულებებისა და შეხედულებების მატარებელ საზოგადოებას და თავიდან გაეაზრებინა საკუთარი ფუნქცია. უნდა ითქვას, რომ ქართულმა მწერლობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დეკონსტრუქციის ამ მტკივნეულ პროცესში, შექმნა რეალობის დისტანციიდან აღქმისა და რეფლექსიის შესაძლებლობა. იმის საჩვენებლად, როგორ რეპრეზენტირდა 1990-იანი წლების სოციუმში მხატვრულ ტექსტში, შევეცდებით რამდენიმე ზოგად მარკერი გამოვკვეთოთ.

სამოქალაქო და აფხაზეთისათვის ომმა, ეთნიკურმა კონფლიქტმა მთლიანად მოიცივა საზოგადოებრივი ყოფა, რაც არცაა გასაკვირი, რადგან დამოუკიდებლობის მოპოვება დაკავშირებული აღმოჩნდა სისხლიან დაპირისპირებასთან, ტერიტორიის დაკარგვით გამოწვეულ ტრაგედიასა და მძიმე სულიერ ტრამვასთან. ქართულ მწერლობაში აფხაზეთისათვის რუსეთ საქართველოს ომის თემის კულტივირებასთან ერთად ასახა ჰუმანური დრამა მარტოსული და მიტოვებული ადამიანებით, ყოველ დღე არსებობისათვის რომ იბრძვიან და ცდილობენ ერთდროულად გაუმკლავდნენ სულიერ და ნივთიერ გასაჭირს, გაუცხოებულ და გათითოკაცებულ გარემოს. ნუგზარ შატაიძემ თავის კარგად ნაცნობ მოთხრობაში – „მოგზაურობა აფრიკაში“ რომელიც საფუძვლად დაედო, ასევე, გახმაურებულ ფილმს „გადმა ნაპირი“, არაერთი „წარმატებულად მიგნებული დეტალით“ (აკ. გაწერელია) დაუვი-

წყარი სახეები და ეპიზოდები შექმნა. საკმაოდ მძიმე ყოფაში ჩავარდნილი ლტოლვილი ბავშვის თავგადასავლის თხრობით ავტორი ურთულეს პრობლემებს წარმოაჩენს. ტრაგიკულია მუყაოს ყუთების ამარა დარჩენილი საკუთარი მშობლებისაგან მიტოვებული მოზარდების ბედი, რომლებიც ხშირად წებოს იმიტომ შეიყნოსავენ, რომ აღარ ციოდეთ, მძიმეა მათი მშობლების მდგომარეობაც. მამის საძებნელად დედისგან გაქცეული ბიჭის სულისშემძვრელ მოგზაურობაში ტყვარჩელსა და უკან მწერალმა არაერთი პერსონაჟი შემოიყვანა. ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სიკეთის კეთების უნარით, საკუთარი მოგონებებითა და მათგან გამოწვეული ემოციის პროექციით ამ მოგონებათა ადრესატებზე. პროზაიკოსს არაჩეულებრივი ოსტატობით აქვს აღწერილი მამასთან დაკავშირებული განცდები. ტყვარჩელში დარჩენილი სახლი, ცარიელი, მდუმარე ეზო რკინის მაგიდით, თოჯინა გერასიმე ტექსტის ძალზე მეტყველი ეპიზოდებია, რომლებშიც ცოცხლდება ეთნიკური კონფლიქტის უმძიმესი ადამიანური პლასტები. მამის საძებნელად წასულ ბიჭს ამ მოგზაურობაში არაერთი კეთილი ადამიანი ხვდება, მაგრამ ისინი ვერაფრით შევლიან, მეტიც კიდევ უფრო ამძაფრებენ მის მართოსულობასა და უსუსურობის შეგრძნებას. ისიც გამოსავალს ძველ საქმიანობაში ხედავს. „დილით, თბილისის სადგურზე მატარებლიდან რომ ჩამოვედი, პირდაპირ ბაზრობაზე წავედი. ფული კიდე მქონდა და ვიყიდე შავი ფერის ორი, ოცკაპიკიანი პარკი, ექვსი ცალი წებო და ჩემს სარდაფს მივაშურე“ (შატაძე 2010: 284), – ასეთ ჰალუცინაციებში ნაპოვნი შვება კი არა მხოლოდ კიდევ უფრო ტრაგიკულს გახდის მოზარდის ცხოვრებას, არამედ მთლიანად გაანადგურებს მას, როგორც პიროვნებას.

აფხაზეთისათვის ომთან დაკავშირებული ჰუმანური ტრაგედია მთელი თავისი სიღრმითაა ნაჩვენები ნინო სადღობელაშვილის გახმაურებულ მოთხრობაში – „ბამბაზიის სამოთხე“ (სადღობელაშვილი 2006). ქვეყნის მთლიანობისათვის თავგანწირული ჯარისკაცის დედა მოხუცებულობისა და შვილის სიკვდილით გამოწვეული უმძიმესი შოკის გამო ერთადერთი ვაჟის ბავშვობისდროინდელი ბამბაზიის შარვლებიდან ცხოველებს ჭრის და კედელზე აკრავს, რათა ამ გზით თავი ბედნიერ წარსულში დააბრუნოს. ეს უსულგულო მომვლელის ამარა დარჩენილი

მოხუცისთვის ერთადერთი სულიერი ოაზისია, მართალია, ილუზორული, მაგრამ მაინც სასიცოცხლო ენერჯის მიმცემი. საბოლოოდ აფხაზეთის გმირის დედა მომვლელისა (უცხოეთში წასული რძალი რომ უგზავნის ფულს) და შვილის მეგობრის მუხანათობის მსხვერპლი ხდება. ქალი ფსიქიატრიულ კლინიკაში დაასრულებს სიცოცხლეს, დარწმუნებული იმაში, რომ მასსა და მის სახლზე შვილის მეგობარი და მომვლელი ზრუნავენ – ის ადამიანები, რომლებმაც სახლი წაართვეს. შვილიშვილიც უცხოეთში მოიწყობს ცხოვრებას. ამგვარი დასასრულით მწერალმა თავგანწირული მეომრების მიმართ საზოგადოების გულგრილი დამოკიდებულება კარგად აჩვენა.

აფხაზეთის ომში მებრძოლი თაობის ბედი ერთნაირადაა გადაჯაჭვული ქვეყნის ყოველდღიურობასა და ისტორიულ რეალიებთან, რაც დამახასიათებელი ინდივიდუალობით აისახა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში, რომელმაც არამხოლოდ მიწის დაკარგვით გამოწვეული ტრაგედია ასახა. ამ შემთხვევაში პატრიოტულ განცდას თითქმის ჩაენაცვლა სოციალური ვითარებით გამოწვეული დეპრესია, პოსტსაბჭოთა ქვეყანაში მიმდინარე ეპოქათა შეცვლის მტკივნეული პროცესი, რიგითი მოქალაქეების სახით თავისი მსხვერპლი რომ ჰყავდა. „ბინძურ ბაზრად ქცეულ თბილისში ტყვია აღმართს ხნავდა. რაზმორკებში და სასროლ საქმეებში ერთმა წელმაც გაიარა. დათოს კაცის სახელი ომამდეც არ აკლდა, ქვასავით მტკიცე ხასიათმა კი ამ ორომტრიალში ადგილი დაუმკვიდრა. აქეთ მოძებნეს მსუყე ოფისის მქონე ბრეჟნევისდროინდელმა ბიძებმა და მისი ცხოვრებაც, ასე თუ ისე, დადგა. ფულით ტკობამ დიდხანს ვერ გასტანა. საქართველო ძაძვით იყო შემოსილი, აფხაზეთის გარდა, მსოფლიოს ყველა მხრიდან მოასვენებდნენ საშოვარ თუ კაობიჭობას შეწირულ ქართველებს“ (ქართველიშვილი 2011: 54). მწერალ დავით ქართველიშვილის ამ ოპუსში თითქმის ყველა პლასტი აირეკლა, რომელიც ახასიათებდა 1990-იანი წლების საქართველოს რეალობას. აფხაზეთში ბრძოლის დროს ნაღმზე აფეთქებისას დაინვალიდებულმა დათომ, სხვებისაგან განსხვავებით, შეძლო სინამდვილისათვის თვალი გასწორება და ოჯახის მარჩენალად ქცევა. საყურადღებოა, რომ ამ მოთხრობაში სამი ქრონოტოპია და სამივე ომთან დაკავშირებული. ერთი ბაბუის – დავითის, რომელიც გიორგის ორდენითაა დაჯილდოებული და

პორტარტურში გადაღებული სურათიდან „ნაჩეხი“ და ტკვილიანი სახით იყურება, მეორე, მამის, რომელიც მეორე მსოფლიო ომისდროინდელი სურათებით იხსენებს განვლილ წლებს და, მესამე, თავად დათოსი, წინა თაობების გამძლეობითა რომ არის მოხიბლული. „მაგ თაობებს სული ჰქონდათ ქვასავით – ჩვენ სული გვტკვივა“ (ქართველიშვილი 2011: 55), – ამბობს ის. როგორც ხოვრობს სულმტკვიანი თაობა, ამას მწერალი სწორედ დათოს პერსონაჟით და მის ირგვლივ შექმნილი ვითარებით აჩვენებს. მოთხრობაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფრაზაა – „ძალიან შეგვეხო დრო“ (ქართველიშვილი 2011: 58). მართალია, ეს სიტყვები უგზო-უკვლოდ გამქრალი მეგობრის დედის დაკრძალვაზე გაისმის და სხვა დაკარგულებსაც გულისხმობს, მაგრამ ამასთან ერთად გამოხატავს ისტორიულ პერიპეტებში მოქცეული თაობის დრამას, აქეთ-იქით რომ ეხლება და, ვიდრე სახელმწიფოს ჯერ პირი არ უჩანს“ (ქართველიშვილი 2011: 57), ცდილობს მისი ფუნქციაც საკუთარ თავზე აიღოს, ახერხებს თუ არა ამას ან რის ფასად, ეს უკვე სხვა თემაა. მოთხრობაში ბრალდებად გაისმის გმირის მოსაზრება, რომ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა მამების სიხარბისა და შვილების თაობის მიმართ გამოჩენილი დაუნდობლობის შედეგია (ქართველიშვილი 2011: 58). ასეთი ნარატივი შესაძლებელია არ იყოს საყოველთაოდ გაზიარებული შეხედულება, თუმცა, მას არსებობის უფლება ნამდვილად აქვს. ასევე, არეული ქვეყნის უთავბოლო რეალობას ასახავს მოთხრობის ის დეტალები, რომლებშიც, ერთი მხრივ, საუბარია არქეოლოგიური ექსპონატების ქურდობასა და, მეორე მხრივ, ბაგრატიონის გვარის გამო მამიდის საფლავზე უარის თქმაზე, რაც მწერალს აფიქრებინებს, რომ ქვეყანა ისევ „წინაპრის წესმა შეიძლება დაალაგოს“ (ქართველიშვილი 2011: 62).

მძიმე დროებასთან მეგრძოლი თაობის არანაკლებ მძიმე თავგადასვლის მხატვრული ინტერპრეტაციის თვალსაზრისით, საგულისხმოა დათო ტურაშვილის მოთხრობა – „აჩიბაბა და ორმოცი ყაჩაღი“. სათაური ალუზიაა კარგად ნაცნობი აღმოსავლური ზღაპრისა (ასევე საბჭოთა პერიოდის ცნობილი მულტფილმისა) – „ალი ბაბა და ორმოცი ყაჩაღი“. ტყისმჭრელი ალი ბაბას ხარბ მეზობელ – ჰაშიმის მსგავსად (გამდიდრების ნაცვლად ყაჩაღების პირისპირ რომ აღმოჩნდა) დაემართა 90-იანი წლების სოციალური ერთ ნაწილს, რომელმაც ევროპა და, განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებული

შტატები სიმდიდრით სავსე ზღაპრულ გამოქვაბულად წარმოი-
დგინა და იმიგრაცია უპირობოდ დააკავშირა იოლად მოპოვებულ
ნივთიერ კეთილდღეობასთან, თუმცა რეალურად კიდევ უფრო
მძიმე განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა. ტურაშვილის ამ მოთხრო-
ბის გმირი ქალი ბრისტოლში ბოსნიელ ლტოლვილთან ერთად
ცხოვრობს. საკუთარი ცხოვრების შეცვლის იმედიტა და ბოსნი-
ელი სამირას დახმარებით იქცა სოხუმიდან ლტოლვილი გოგო
ტრეფიკინგის ნებაყოფლობით მსხვერპლად. „როცა აღმოვაჩინე,
რომ ტყვე ვიყავი, ყველა უფლებაყრილი და შეშინებული, უკ-
ვე გვიანი იყო – გაქცევით ვერსად გავექცეოდო ორმოც ქურთ
ძმას, როგორც თვითონ ეძახდნენ საკუთარ თავს ბიძაშვილ-მამი-
დაშვილების ჩათვლით და პოლიციაშიც ვერ განვაცხადებდი იმ
მარტივი მიზეზის, გამო, რომ ბრიტანული კანონებით, მეც ისეთივე
მკაცრი სასჯელი მელოდა, როგორც ორმოც ქურთ ძმას, ძირითა-
დად ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისა და ყოფილი იუგოსლ-
ავიის ლტოლვილების ხარჯზე მშვენიერი ბიზნესი რომ ჰქონდათ
გაშლილი სამხრეთ ინგლისის უმშვენიერეს ქალაქში“ (ტურაშვილი
2011: 150-151). ეს მონაკვეთი მოთხრობის ნიშანდობლივი პლას-
ტია. ბოსნიელი და სოხუმელი გოგოს ერთ სიბრტყეზე წარმო-
ჩენით მწერალმა აღნიშნული ვითარება გლობალურ პრობლემად
სამართლიანად აქცია და ევროპული ლოკალური ომების, ტოტა-
ლიტარული წესრიგის გარდაუვალი კოლაფსის შედეგად მიღე-
ბულ საერთო მარკერად წარმოადგინა.

მოთხრობაში კიდევ ერთი გმირია – ინდიფერენტული თაობის
ტიპური წარმომადგენელი, თბილისის შეძლებული ოჯახის შვი-
ლი, რომლის თავგადასავალიც გოგონას ცხოვრების საპირისპი-
როა. კორუმპირებულმა მამამ (საყურადღებოა, რომ ეს შვილის
შეფასებაა) „მილიციიდან შვილის გამოყვანაში ფულის ხარჯვას“
(ტურაშვილი 2011: 135) მისი ინგლისში სწავლის გასაგრძელებ-
ლად გაგზავნა ამჯობინა, რასაც შედეგად ახალგაზრდა კაცის სუ-
ლიერ-ინტელექტუალური მეტამორფოზა მოჰყვა. „შევიცვალე?
აღბათ, წიგნების გამო, შეიძლება მანამდე მოხდა რაღაც. ზუსტად
არაფერი ვიცი. მახსოვს, რომ მივხვდი: რაღაც მაკლდა, მაგრამ არ
ვიცოდი – რა და პირველად ბრისტოლში აღმოვაჩინე, რომ გაორება
დამეწყო. ერთიც და მეორეც მე ვიყავი, მაგრამ ერთი იყო სრულიად
კმაყოფილი მე – დეგენერატობამდე თვითკმაყოფილი და მეორეც

მე, ოღონდ ადამიანი, რომელსაც რაღაც აკლდა“ (ტურაშვილი 2011: 148). ეს რაღაც საბოლოოდ სწორედ იმ სოხუმელი გოგოს სიყვარულია, რომლის ორმოცი ქურთის მაფიდან დახსნას მთელი მონდომებით ცდილობს, თუმცა უშედეგოდ. ამ მცდელობის დროს ქალი ვაჟს გადაეფარება და თავად ტრაგიკულად დაასრულებს სიცოცხლეს. საყურადღებოა, რომ ორივე პერსონაჟს მუდმივად დაჰყვება აფხაზეთთან დაკავშირებული მოგონებები. ნაწარმოების ფინალში სოხუმელი შეყვარებულის გათავისუფლება გმირისთვის აფხაზეთის დაბრუნებასთან ასოცირდება და მარცხითაა ნიშნადებული.

უცხოეთში წასვლა რამდენად არის გადარჩენის გზა რეფლექსირებულია თეონა დოლენჯაშვილის თხზულებაში – „თავით კედელზე“. დოკუმენტური პროზის ჟანრში შესრულებულ ტექსტში ავტორი ყურადღებას ამახვილებს, რომ არც პერსონაჟები და არც სიუჟეტი არაა მხატვრული გამონაგონი, რაშიც პირველი ფრაზებიდანვე იოლად რწმუნდება მკითხველი. „რაც მთავარია, აქ აღარ ვიქნები, დილიდან საღამომდე სახლის სადარბაზოსთან არ ვიბირჟავებ და მეზობელი ბიჭების დეპრესიულ და გალოთებულ სიფათებს აღარ ვუყურებ... მთავარია, მივდივარ! იქ, სადაც არც ძმათამკვლელი ომებია, არც სინათლის მოლოდინი არსებობს და არც ეს ბინძური სადარბაზოები“, – ქალაქის ასეთი გარეგნული დახასიათება ზოგადი და ტიპური სურათია, ამასთან ერთად საყოველთაო დეპრესიის მიზეზსაც და შედეგსაც ერთდროულად მოიცავს (დოლენჯაშვილი 2011:225). მოთხრობის მთავარი გმირის მიერ ნაპოვნი გამოსავალიც უფრო გაქცევაა, ვიდრე საკუთარი ცხოვრების შეცვლის მტკიცე გადაწყვეტილება. თუ ევროპა ახალგზარდა კაცის, თუნდაც დეპორტირებულის, შეხედულებებს მაინც ცვლის, ტექსტის მიხედვით, საქართველოში დარჩენილები ასე მარტივად არ იცვლებიან, მათი აზროვნების კედლები, გერმანიის დანგრეული კედლის მსგავსად არ ინგრევა და „ჭარმაგი, ცხოვრებისაგან დაღლილი ადამიანებიც“ კი ინფანტილიზმისაგან ვერ თავისუფლდებიან“ (დოლენჯაშვილი 2011: 227). ცხადია, რომ ურთულესი, მთავარიც, მენტალური ტრანსფორმაციაა. იმიგრაცია (მით უფრო XX საუკუნის მიწურულს) გაცილებით იოლია, ვიდრე ოდესღაც აგებული სულიერი საზღვრების მოშლა. „იდილისტური ბურჟსიც გაფანტულიყო და ჩემი თაობის ერთი ნაწილი

უწარწერო საფლავებში ესვენა. აღარ მჯეროდა, რომ ამ ცვლილებებს სიკეთე მოჰქონდათ, რომ მნიშვნელოვანი ქართველების მოწმე კი არა, მონაწილეც ვიყავი, რომ სწორედ ჩემნაირებს შეემლოთ მისი უკეთესობისაკენ შეცვლა და სწორედ ჩვენ ვქმნიდით ისტორიას“ (დოლენჯაშვილი 2011: 227), – საქართველოში დარჩენილი გმირის მიერ თანამედროვეობის ამგვარი განცდა, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო აღრმავებს ნიჰილიზმსა და უმოქმედობას. გაცილებით მძიმეა უცხოეთში ხეტიალის შედეგი: „ყოველი დაკავების თუ ჩაბარების დროს ის იცვლიდა სახელს, სამშობლოს, წარსულს, თხზავდა ისტორიას, თუ საიდან და რატომ მოხვდა აქ, სად მიდიოდა და რა მიზნით... ბოლოს კი ისე გაიხლართა საკუთარ ანარეკლებსა და მისტიფიკაციები, რომ უკვე თავადაც აღარ იცოდა, სად იყო, ვინ და რატომ...“ (დოლენჯაშვილი 2011: 230). ასეთ ვითარებაში, ავტორის აზრით, პრობლემის სათავეც და გადაჭრის გზაც სინამდვილის გააზრებაა, წინააღმდეგ შემთხვევაში მუდმივად მოგვიწევს კედელს ვურტყათ „პატარა, საცოდავი, დასისხლიანებული თავი“ (დოლენჯაშვილი 2011: 231).

1990-იანების მძიმე ყოფიერების თანმდევი სულიერი კრიზისის ერთ-ერთი უმძიმესი გამოვლინება აღმოჩნდა ნარკომანია. ზოგადად, ეს თემა სათავეს ქართულ ლიტერატურაში უფრო წინა პერიოდიდან იღებს, მაგრამ პრობლემამ სულ სხვა განზომილება სწორედ საუკუნის დასასრულს შეიძინა, როდესაც ნარკომანია ინდივიდუალური მოვლენიდან ხელმოცარული თაობის მარკერად იქცა. ეს იმდენად ნიშანდობლივი პრობლემა აღმოჩნდა, რომ ამ პერიოდში მოღვაწე მწერალთა უმრავლესობისათვის თაობის სულიერ პორტრეტში ერთ-ერთ მნიშვნელოვან რაკურსადაც გამოიკვეთა. ტურაშვილის მოთხრობაში – „საით წავიდნენ შუმერები“ გმირთა ყოფის დრამატიზმს მიუღებელი რეალობა, პიროვნული შეუძდგარობა ქმნის, სამყარო გაცილებით ჰარმონიულ კონტურებს იძენს ეიფორიულ მდგომარეობაში. „მოკლედ, ასე იყო თუ ისე (აღარ იყო მხოლოდ გოგი თუშურაშვილი), ეზოს ყოველი მკვიდრი კოკაინის ინტენსიურ მომხმარებლად იქცა და ქალაქში საოცრება მოხდა: ადამიანებმა იგრძნეს, რომ მთელი მათი ცხოვრება დღემდე იყო მოგონილი და ხელოვნური, სავსე სიძულვილითა და საშინელი ურთიერთობებით და, რაც მთავარია, მათ – ყველას ერთად და ცალ-ცალკე – ძალიან, ძალიან მოუნდათ ყოფილიყვნენ ბოლომდე

ძალიან გულწრფელნი და ეზო-ქალაქში მართალც მოხდა საოცრება“ (ტურაშვილი 2011: 200). ამ ფორმით დამდგარი საოცრება – მიღწეული მიზანი საბოლოოდ ტრაგიკულ შედეგებს იწვევს, თუმცა, ტექსტის მიხედვით, მწერალს სჯერა, რომ სწორედ ცნობიერისაგან უკონტროლო მდგომარეობაში მყოფი ადამიანი ავლენს შინაგანს და ის იმაზე უკეთესია, ვიდრე მაშინ, როდესაც გარემო ზემოქმედებს მასზე და ანგარიშის გაწევას ითხოვს. ამიტომაც არის, რომ ნაწარმოების გმირებს აღარ უნდათ სიფხიზლეში დაბრუნება არც ნებით, არც იძულებით, „სწორედ იმიტომ, რომ ერთხელ იგრძნეს თავი სწორედ იმად, რანიც არიან, რანიც სინამდვილეში არიან და მათ აღარ სურთ იმ ილუზიურ, ხელოვნურ და მოგონილ სამყაროში ცხოვრება, რომელიც სავსეა მათივე ყალბი ურთიერთობებით. ამ სიყალბეს კი ის ქაოსი განაპირობებს, რომელიც თვითონ შექმნა ადამიანმა, თვითონ ქმნის და სხვადასხვა სახელს არქმევს. მერე თავისივე შექმნილი ჩარჩოს დამსხვრევა უნდა და ჯაჭვის გაწყვეტასა და გაქცევას ლამობს“ (ტურაშვილი 2011: 206). პუბლიცისტიკის ზღვარზე მყოფი ამ ოპუსით მწერალი საზოგადოების არაჯანსაღ მდგომარეობაზე აპელირებს, ერთგვარ დახშულ წრეზე, როდესაც ადამიანი თავად ქმნის იმ გარემოს, რომელიც მასვე კლავს სულიერად. ყურადღება უნდა მივაქციოთ ასეთ პასაჟსაც. ავტორი კოკანის საყოველთაო მოხმარებაზე საუბრისას შეგვახსენებს, რომ გოგი თუმშურაშვილი ცოცხალი ადაარაა (ტურაშვილი 2011: 200), რაც ნოდარ დუმბაძის „კუკარაჩას“ ინტერტექსტია. გოგი თუმშურაშვილი საბჭოთა პოლიციელია, მაგრამ მოგვიანებით ჩამოყალიბებული სტერეოტიპისგან განსხვავებული, უშიშარი, გულიანი, არა სასტიკი აღმასრულებელი, არამედ ჰუმანური პიროვნება, რომელიც ცდილობს მორალური კანონებით, სახარების ფასეულობებით იხელმძღვანელოს და ისე განსაზღვროს ადამიანის ბედი. საერთოდ უნდა ითქვას, რომ მოქალაქეთა სახელმწიფოებრივი აზროვნების ნაკლებობის შედეგად ყალიბდება სწორედ ისეთი განუკითხაობა და სიყალბე, რომელშიც მოხვედრილი ჩვეულებრივი ინდივიდი ვერ უმკლავდება ყოველდღიურობას. მწერალი ამ ტექსტით უთუოდ ამაზეც აფიქრებს მკითხველს.

1990-იანი წლების სოციუმის მძიმე სურათს ქმნის ე.წ. „სამ-მოები“ და „უზნის მაყურებლები“, რომლებთან დაკავშირებული თავგადასავლები მამინდელი ყოველდღიურობის ნაწილად და,

შესაბამისად, მხატვრული ლიტერატურის თემად იქცა. ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში გავრცელებული იდუმალებით მოცული და ამით საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის მიმზიდველი ტიპი, ე.წ. ძველი ბიჭი და მისი ყოფა პოსტსაბჭოთა დროში ინტერპრეტირებულია ნუგზარ შატაიძის მოთხრობაში „ნაგანი“. ნუგზარ შატაიძე, ზოგადად, მცირე ტექსტით დიდი დრამატიზმის შემცველ დაუვიწყარ სახეებს ქმნის, რითაც ის რეზო ინანიშვილის ხაზის გამგრძელებლადაც შეგვიძლია მოვიაზროთ. ხიპიჩა – „ნაგანის“ მთავარი გმირი – ე.წ. უზნის მაცურებელია. მას არც ცოლი-შვილი ჰყავს და არც სამსახური აქვს, უსმენს ბიტლებს და როლინგ სტოუნს, მის სახლში თამაშობენ კარტს და რაღაც საქმეებს არჩევენ. ახალგაზრდებსაც იზიდავთ და აინტერესებთ მასთან ურთიერთობა, როგორც უბანში ცნობილ ადამიანთან. მათთვის ავტორიტეტად ქცეულ ხიპიჩას მიერ სხვისი საქციელის შეფასება, კაცურია თუ არაკაცური, ღირებულებათა საკმაოდ სანდო სისტემაა. მამის ხისტი წინააღმდეგობა შვილთან გაჩენილ უფსკრულს კიდევ უფრო აღრმავებს, რაც საბოლოოდ ხიპიჩას მსგავსი ადამიანების გაფეტიშებით სრულდება. ეს დანის პირზე სიარულს ჰგავს, რომელიც ან ჩაგითრევს და კაცისმკვლელად გაქცევს, ან საბოლოოდ გათქმევინებს უარს ცხოვრების ამ წესზე, რაც მოხდა კიდევ მოთხრობის მთავარი გმირის – გოჩას – შემთხვევაში.

აღნიშნული პრობლემა კიდევ უფრო მეტი სიმძაფრითა და გავრცობილი სახით აისახა მოთხრობაში – „ბუკინისტების სამმო“. 1990-იანების თბილისის ყოველდღიურობა შემდეგი მარკერებითაა მონიშნული ტექსტში: დოლარის კურსს ვინმე მაისამე აყენებს რუსთაველზე და მისი შეცვლა არავის შეუძლია, მოხუცი მათხოვარი ქალი ოსტატურად გათამაშებული გულისყრის შემდეგ ორიოდ დღის საკვების ფულს შოულობს, კვლევით ინსტიტუტის თანამშრომლები დახლში დგანან, ხოლო მწერლები სავალუტო პუნქტს ხსნიან, რაც აღიქმება, როგორც არსებობისათვის ბრძოლის დაუნდობელი კანონზომიერება. სამოქალაქო ომის შემდგომი რეალობა ქალაქში, ტექსტის მიხედვით, სამშობის ჩამოყალიბებითაც ხასიათდება. „ომის მერე ქალაქში ბევრი სამმო გაჩნდა: „ვერის სამმო“, „კულინარები“, „ნახალოვკელი ბიჭები“... ესენი „ბუკინისტები“ არიან, „ბუკინისტების სამმო“, რუსთაველსა და მთაწმინდა-სოლოლაკს უყურებენ“ (შატაიძე 2010: 26). შექმნილ

ვითარებაში თავდაცვის ერთადერთი გზა „კრიზის“ ყოლაა. ამ „კრიზისებს“ თავისი ქცევის წესი აქვთ და მასში მთლიანად აირეკლება ვითარების ტრაგიკული არსი. „არა, დღეს აღარ მოვლენ, ეგრე იციან, – თორმეტ საათამდე თუ არ მოვიდნენ, მორჩა, მერე აღარ მოდიან. მშვიდად შეგვიძლია ვიმუშაოთ. ძველი გაქუცული „მერსედესია“, ვინ იცის, სად არ ნავალი და ნაბლოტიალევი, მთელი აფხაზეთი ექნებათ ომით შემოვლილი, ახლა აქ დადიან თბილისის ქუჩებში. ამ ორი კვირის წინ თარს ომარასთან ყოფილან, ნაგანის ტარი თავში ჩაურტყამთ და სამასი დოლარი წაუღიათ, მასიამესთან და პრაშუგოგიასთან კი ვერ შედიან. იქ მაგარი კრიშა ჰყავთ, – ირაკლი, ძველი კაგებმენიკი. ჩვენ ჯერჯერობით ვფრთხილობთ, გამოჩნდებიან თუ არა, ეგრევე ვითესებით – ფულს უკანა ოთახის სეიფში ვინახავთ და როზას სასადილოში ავდივართ“ (შატაიძე 2010: 80), – ასე აღწერს ნაწარმოების მთავარი გმირი მართლწესრიგის გარეშე დარჩენილი ქალაქის დრამატულ ყოფას, როდესაც უგულვებელყოფილია კანონი და მისი დამცველები თავად გვევლინებიან დანაშაულებრივი სამყაროს დამცველებად.

ნიშანდობლივია ამერიკასთან დაკავშირებული რეფლექსიაც. თხზულების პერსონაჟების აზრით, ცხოვრება „ამერიკის მოახლოებამ“ უფრო დაამძიმა და არია. „ჩვენი კარის მეზობელი, მია ანდრო, მეშვიდე სართულიდან გადმოხტა, ჩემი თანაკლასელისა და ბავშვობის მეგობრის გივია გვასალიას ცოლი ნიუ-იორკში ბებისიტერად წავიდა, ბიჭი „მხედრიონში“ ჩაეწერა, თვითონ კი ნემსზე შეჯდა“ (შატაიძე, გაღმა ნაპირი, მოთხრობები, თბილისი, პალიტრა L, 2010: 84). რამდენად მართალია ამ ყველაფრის „ამერიკის სიახლოვით“ ახსნა, ეს სხვა საკითხია, მაგრამ, ფაქტია, რომ პოსტკოლონიური ტრამეული გარემო საზოგადოების ერთი ნაწილის ცნობიერებაში დაუკავშირდა ზესახელმწიფოს და არა ისტორიულ ვითარებას, თუმცა ამ ადამიანებმა ისიც კარგად იციან, რომ სამშობლოსთვის გამართული თუ კონკურეციის ომის მოგება მხოლოდ მისი კანონების ცოდნითაა შესაძლებელი. განუკითხაობამ, უწესრიგობამ, გამეფებულმა კორუფციამ, როდესაც საგადასახდო სამსახურის მუშაკები სამშობლის სახეცვლილ წევრებად არიან ქცეულნი, ხოლო საავადმყოფოებს გაყაჩაღებული ნარკომანების თავდასხმისაგან დასაცავად არ აძლევენ მორფს, გააძლიერა და გააღვივა სტალინის – „ძლიერი მმართველის“ მო-

ნატრება. „მოიყვანდა ქვეყანას პარიადკაში“ (შატაიძე 2010: 95), – ეს ჩვეულებრივი მშრომელის გადასახედიდან დანახული შემამფოთებელი გამოსავალია, რაც, საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი მითი აღმოჩნდა. ასეთ უმძიმეს ვითარებაში ჩავარდნილი ქალაქი მწერალს წარმოუდგება მკვდარ გარემოდ, სადაც ფიზიკურად და სულიერად ერთნაირად იღუპებიან. მსგავს განწობილებას აირეკლავს შატაიძის პატარა მოთხრობა – „ქუჩა“, რომელიც თავისი ქურთი მეეზოვითა და ხელგაწვდილი მათხოვრით „ბუკინისტების სამმოს“ ეპიზოდის შტაბეჭდილებასაც ტოვებს.

დანგრეული ქალაქის, დარღვეული სოციუმის სურათი კარგად დაიხატა შატაიძის კიდევ ერთ პატარა მოთხრობაში – „გაღმა ნაპირი“. „უშუქობისაგან ფანჯრებამოდამებული სახლები“, „ავტობუსის გაჩერებასთან შავი, გულჩაბოროტებული ღრუბელივით მდგარი ტრანსპორტისმომლოდინე ხალხი“ (შატაიძე 2010: 30) 1990-იანების მძიმე რეალობაა. მისი ნაწილია ილოც, „სამასახურში უსაქმოდ მჯდარი“, რადგან „ენერგეტიკული კრიზისისა და ნედლეულის უქონლობის გამო ქარხანა არ მუშაობდა, მუშები უფასო შვებულებაში იყვნენ, მარტო ტექნიკური პერსონალი იღებდა მცირეოდენ ხელფასს კუპონების სახით და სამსახურისა და ამ ხელფასის დაკარგვის შიშით, ბატონი ილო, იძულებული იყო ყოველდღე ევლო ქარხანაში“ (შატაიძე 2010: 31). ნაცრისფერი ყოფის ალტერნატივად ილოს სულ უფრო მეტად წარმოუდგება ხევის ნაპირზე გაშენებული ბოსტანი, მცირეოდენ საკვებსაც და სულიერ სიმშვიდესაც ერთად რომ მოუტანს, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, საბოლოო განსასვენებლადაც შეიძლება იქცეს. ამგვარ განწობილებაში გაღმა ნაპირი უკვე იმქვეყნიურ გააზრებასაც იძენს. საგულისხმოა, რომ ბოსტანი თამრი ფხაკადისთვისაც („ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“) მიწის ისეთ ჯადოსნური ადგილია, რომელიც დაკარგულ დიდ მამულს თავიდან მოაპოვებინებს ადამიანს და საბოლოო შერიგებაც მოჰყვება.

ოჯახის ისტორიის ფონზე აჩვენა საუკუნის დასასრულის რეალობა ბესო ხვედელიძემ მოთხრობაში – „პლანეტობანა“. ეს უკანასკნელი ამავე დროს კომპიუტერული თამაშის სახელწოდებაცაა. ტექსტში რეალობა კომპიუტერული თამაშის მოდელითაა რეპრეზენტირებული. ნაწარმოების ყოველი თავი, თამაშის ახალი საფეხურია. ოჯახური ყოფა აქ გადაჯაჭვულია დროის

მიერ მოტანილ ბიზნეს პარტნიორობასთან, თუმცა არის თემები (მაგალითად: ოჯახის ერთგულება, მორალური პასუხისმგებლობა), რომლებიც „უდენობის“ ეპოქაშიც მნიშვნელოვანი რჩება. თხზულებაში ახალ გააზრებას იძენს ყაყაჩოს სიმბოლური ხატი. ქართულ მხატვრულ აზროვნებაში ყაყაჩო დაუკავშირდა სწავლას, გმირობას, სამშობლოსათვის დასადვრელ თუ დაღვრილ სისხლს. ბესო ხვედელიძე ამ მშვენიერ ყვავილს (ყაყაჩოს თესლს) ახალი ირონიული შინაარსით ტვირთავს (ეს პლასტი გვხვდება სხვა მოთხრობაშიც – „CURRICULUM VITAE“, რომელშიც გმირს ყაყაჩოს უფენენ, როგორც იერუსალიმში შესულ იესო ქრისტეს ტირიფსა და დაფნას. ამ იოლად ამოსაცნობი ალუზიით რწმენის პროფანაციაა ხაზგასმული). მწერალი ჯერ ავტოავარიაში მოხვედრილი სატრფოსკენ მიმავალი ყმაწვილის ხელიდან გაფრენილ ყაყაჩოებს კანალიზაციის ჭის ხუფზე გვიჩვენებს, შემდეგ „მზის გულზე არხეინად ლივლივის“ (ხვედელიძე 2011: 178) მიზეზი ხდება, მისი შავ-წითელი ფერი კი თაობის საერთო ნიშნად იკვეთება, პირჯვრის უკულმა გადაწერაც ყალბი რწმენისა და ფარისევლობის გამოხატულებაა. ამის მიუხედავად, ავტორი ამგვარი ყოფის დასრულების იმედს მაინც ტოვებს, ოღონდ მანამდე აუცილებელია სინამდვილეს თვალი გაუღსწოროთ და რეალობა სარკისებურად არ ავირეკლოთ. „გეგონება ცხადში კი არა, სარკეში იყვნენ“ (ხვედელიძე 2011: 180). ტექსტის ფინალში ვიღებთ ორ პარალელურ სამყაროს. ერთს – მოთხრობას მამის ავტორობით, რომელსაც იმედი აქვს, რომ გამოუცემენ შვილებზე დაწერილ ამბავს ლამინირებული ყდით, მეორე კი შვილის მიერ კომპიუტერის ოპციებით შექმნილი სამყაროა, თავისი მნათობისა და ღერძის გარშემო რომ ტრიალებს, თუმცა ამბავში იგივე ადამიანები მონაწილეობენ და, როგორც მწერალი ამბობს, „ყველა თავისებურადაა დასჯილი ყოფით“ (ხვედელიძე 2011: 187). მრავლისმთქმელია, რომ ავტორს შეუძლია კომპიუტერიდან წაშალოს ეს ყველაფერი, თუმცა ის შენახვას ამჯობინებს და გაგრძელების პერსპექტივას აჩენს.

უნდა ითქვას, რომ, ზოგადად, „ყოფით დასჯილი ადამიანი“ ამ პერიოდის საზოგადოებას წარმატებით მიემართება და თავისთავში არაერთ ნიუანს მოიცავს. საუკუნის დასასრულის ტრამვული სოციუმი მრავალგვარი ვარიაციით ინტერპრეტირდა თანამედროვეთა მხატვრულ ტექსტებში. პოსტმოდერნისტულმა

ესთეტიკამ ავტორებს შესაძლებლობა მისცათ, თვითირონიის, ტრავესტირებისა და კოლაჟის ხერხებით, არაცნობიერის პლასტიკებით, ფსიქოლოგიური ნიუანსირებით აესახა ასეთი ადამიანის შინაგანი სიცარიელე, შეგრძნებათა, აღქმათა ამორფულობა და ირაციონალიზმი და ამ გზით ეჩვენებინა როგორც ინდივიდის ცხოვრების, ისე ვითარების აბსურდული ხასიათი, შეექმნა არამხოლოდ ამ დროის მხატვრული სურათი, არამედ მისი მგრძნობელობაც გადმოეცა. 1990-იანი წლებისა და შემდგომი პერიოდის ლიტერატურამ შეულამაზებლად აღბეჭდა საუკუნის დასასრულის დეზორიენტირებული სოციუმი, გარემოს მიერ დათრგუნული ინდივიდი. ეს პოსტსაბჭოთა დეპრესია იყო. ბიბლიურ ალუზიას თუ მივმართავთ, ეს იყო მოსეს გზა, რომელსაც იმპერიის ორასწლიანი ბატონობისაგან გათავისუფლების შემდგომ შეუდგა მთელი ერი, რაც, ბუნებრივია, ხანგრძლივი, მსხვერპლით სავსე და არაერთხელ დაცემისათვის განწირული მსვლელობა იყო. რამდენად შეძლო მწერლობამ ბრძოლისუნარიანობის, წინააღმდეგობებთან შეურიგებლობის, სიმტკიცის, შეუპოვრობისა და რწმენის კულტივირება, ეს უკვე სხვა სტატიის თემაა. ერთი რამ ცხადია, ამ პერიოდის მხატვრულ ნარატივში მრავალი პლასტიკით რეპრეზენტირდა და სამუდამოდ შეინახა საქართველოს უახლესი ისტორიის უადრესად მნიშვნელოვანი ეტაპი და ამ ეტაპის განმსაზღვრელი არაერთი კონცეპტუალური მახასიათებელი.

დამოწმებანი:

დოლენჯაშვილი 2011: დოლენჯაშვილი თ. „ANIMAL PLANET“. თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L“, 2011.

ნემსაძე 2007: ნემსაძე ა. „იდენტიფიკაციის პრობლემა თანამედროვე ქართულ მწერლობაში“. კრიტიკა, №2, 2007.

რატიანი 2018: რატიანი ი. ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესი. თბილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018.

სადღობელაშვილი 2006: სადღობელაშვილი ნ. *ბამბაზიის სამოთხე*. თბილისი: ინტელექტი, 2006.

ტურაშვილი 2011: ტურაშვილი დ. *გურჯი ხათუნი და თერთმეტი მოთხრობა*, თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L“, 2011.

ქართველიშვილი 2007: ქართველიშვილი გ. *ბაგრატიონის ქალი. მოთხრობები*. თბილისი: გამომცემლობა „გუმბათი“, 2007, 2011.

შატაძე 2010: შატაძენ. გაღმა ნაპირი. მოთხრობები. თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L“, 2010.

წიფურია 2016: წიფურია ბ. ქართული ტექსტი საბჭოთა/პოსტსაბჭოთა/პოსტმოდერნისტულ კონტექსტში. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016.

ხვედელიძე 2011: ხვედელიძე ბ. მინდვრის ყვავილები. თბილისი: გამომცემლობა „პალიტრა L“, 2011.

Maria Kshonzer

Germany, Lübeck

Doktor of Philology

Gr. Robakidze's Novel („Snake Shirt“) in the Translation of Kamila Korinteli – the Sign of the Renaissance of National Consciousness in Georgia in the Period of Political Events of the 80-90s of 20th Century

Grigol Robakidze's novel was written in 1926 and published in Tbilisi in Georgian, but since the early 30s of the 20th century his name has been banned in Georgia due to his emigration. A world-class writer, recognized in Europe as one of the largest writers, entered the Georgian literary process during the period of perestroika. Russian translation of the novel „Snake shirt „by Camilla Corinthe and published in „Literary Georgia „, in 1991 became a significant phenomenon in Georgian and Russian culture, because the thinker of the world scale at the same time remained a true Georgian in attitude, which for the Georgian people in the period of national self-determination was extremely important. The main idea of the novel „Snake shirt“: the relationship of the individual with the world is due, on the one hand, to the divine principle, and on the other, are determined largely by national roots, ethnicity. Being a Georgian and an expression of his national spirit, Robakidze was at the same time a citizen of the universe, wrote in three languages (Georgian, Russian and German) and embodied in his work the unity of the European worldview and national identity.

Key words: national self-expression, ethnic self-identification, immutability of human essence, relationship of individual and society.